ჰადისებს ვსწავლობ

# მოთმინებას ვსწავლობთ




არასასურველის მოთმინების გარეშე, სასურველს ვერ მიიღებთ!
(ჰადისი შერიფი).

გამომცემლობა
თიმაში ბავშვები

muslim Georgia
International Charity Foundation



# ჰადისებს ვსწავლობთ

# მოთმინებას ვსწავლობთ






ავტორი:
ნურ ქუთლუ
(ბავშვთა განვითარებისა და განათლების დოქტორი)

ქართულად თარგმნა:
ნინო კახაძე

მხატვარი:
აიშე ქითილი



გამოცემის ხელმძღვანელი:
სავაშ ოზდემირი

მთავარი რედაქტორი:
შებნემ ქანოღლუ

რედაქტორი:
არზუ დემირი

გარეკანი და შიდა დიზაინი:
სეფერ ქოჩაქი

გამომცემლობა
თიმაში ბავშვები





# ახლა ზეინეფის და თარიქის გაცნობის დროა!

ზეინეფი ბაღში, თარიქი კი პირველ კლასშია. მათ ჩვენი შუამავალი, ხზ. მუჰამმედი (ს.ა.ვ.) ძალიან უყვართ. სახლში ჰადისების ყუთი აქვთ. მათი მშობლები ქაღალდებზე ჰადისებს წერენ და შემდეგ ამ ყუთში ათავსებენ. ჰადისები ჩვენი შუამავლის ნათქვამი ლამაზი და აღმზრდელობითი ხასიათის სიტყვებია.



ზეინეფი და თარიქი ყოველ კვირას თითო ჰადისს სწავლობენ. თავდაპირველად "სალლალლაჰუ ალეიჰი ვესელლემ (ალლაჰის სალათი და სალამი მას)" წარმოთქმით ჩვენს შუამავალს მისალმებით მოიხსენიებენ, შემდეგ ყუთიდან ერთ ჰადისს იღებენ.

ჰადისის მნიშვნელობას უფროსებს ეკითხებიან, შემდეგ კი ცდილობენ ჰადისის შესაბამისად მოიქცნენ. ასე მათ სურთ ჩვენი შუამავლის მსგავსად, ალლაჰის საყვარელი ადამიანები გახდნენ.





ზეინეფი და თარიქი ეზოში თამაშობდნენ. ზეინეფმა ორი ფიცარი ერთმანეთის გვერდით დადო. ამგვარად თოჯინას საწოლი მოუმზადა. თოჯინას ზემოდან ფოთლები გადააფარა.

– აი, ესეც შენი საწოლი! ჩემო ლამაზო თოჯინა, ძილი ნებისა! უთხრა თოჯინას.







თარიქმა კი სათამაშო მანქანებისთვის სადგომი გააკეთა. ორი ქვა დადო გვერდიგვერდ. ქვებს ზემოდან ფიცრით დაფარა. ავტოსადგომი მანქანებით გაავსო.

**–ზეინეფ! ნახე, როგორი ავტოსადგომი გამოვიდა!**

ზეინეფმა უთხრა: **–ჩჩჩ! თოჯინა ახლახანს დავაძინე** – გააფრთხილა ძმა.









შუადღისას დედამ, ქალბატონმა მელექმა, დაუძახა:

–ბავშვებო! მოდით, სადილი მზადაა.

და–ძმა სახლში შევიდა და სადილი მიირთვა.

ეზოში დაბრუნებისას თვალებს არ დაუჯერეს. თოჯინას საწოლი და მანქანების სადგომი ქარს მიმოეშალა.

თარიქმა თქვა:

–ნეტა სათამაშო სახლი გვქონოდა, ჩვენი სათამაშოები აღარ დაიშლებოდა.





muslim georgia







თარიქის აზრი ზეინეფს ძალიან მოეწონა და უთხრა:
–ძმაო, მამას ხომ არ ვსთხოვოთ სათამაშო სახლის აშენება!
სასწრაფოდ გაიქცნენ მამასთან და ჰკითხეს:

**–მამიკო, შეგიძლია ეზოში სათამაშო სახლი აგვიშენო?**



–რა თქმა უნდა, თუ კი თქვენც დამეხმარებით! უთხრა მამამ.

**რა მაგარია!**

წამოიძახეს ბავშვებმა და მამას მოეხვივნენ.





მეორე დღეს ბატონმა მეჰმეთმა ბავშვებს უთხრა, რომ მათთვის სიურპრიზი ჰქონდა. შემდეგ მამა სადღაც წავიდა. სახლში მობრუნებულმა მამამ მანქანა დაასიგნალა და სახლისთვის ფიცარი, ლურსმანი, საღებავი და სხვა საჭირო მასალები მოიტანა.

–ბავშვებმა მასალები მამას ეზოში გაატანინეს.



**სახლის აშენება, სავარაუდოდ, მარტივი არ იქნებოდა.**







ზეინეფსა და
თარიქს ის ღამე
ნერვიულობისგან არ
დაეძინათ.

სათამაშო სახლზე ოცნებებს
თხზავდნენ.



დილით ადრე შეუდგნენ საქმეს.
მამა ფიცრებს ერთმანეთზე
აწყობდა და ჭედავდა. ცალი
ხელით ლურსმანი ეჭირა,
მეორეთი კი
ჩაქუჩით ლურსმნებს აჭედებდა.

ფიცრების დაჭერა თარიქის
მოვალეობა იყო.

ზეინეფი კი მათ ლურსმანს აწვდიდა.





ბევრი იმუშავეს, ბავშვები ძალიან დაიღალნენ.

მამამ უთხრა:

–ბავშვებო, თუ გინდათ, ცოტა დაისვენეთ!

ორივე გახარებული გაიქცა სახლში.

ლოგინზე წამოწოლისას ზეინეფმა თქვა:



–სათამაშო სახლის აშენება ძალიან ძნელი ყოფილა! ლურსმნების მიწოდებამ ხელები მატკინა.

თარიქიც ასე ფიქრობდა:

–ხო, მეც ფიცრების ჭრისას ხელები ძალიან მეტკინა.





ზეინეფი უცებ გასწორდა და თქვა:

–ააა, კვირის ჰადისის ამოღება დაგვავიწყდა.

ადგილიდან წამოხტა და მისაღები ოთახისკენ გაიქცა.თარიქიც მას მიჰყვა. ამ დროს ბებია ლანგრით მოვიდა. მათ გაუღიმა და თქვა:



–აბა აიღეთ! ჩემს დაღლილ პაცარებს ლიმონათი ესიამოვნებათ.

## –ბებია, ლიმონათის დალევამდე შეიძლება ჰადისი ამოვიღოთ?

– ჰკითხა თარიქმა.

– რა თქმა უნდა პაცარა

– უთხრა ბებია ჰათიჯემ.









ზეინეფმა ყუთიდან ერთი ქაღალდი ამოიღო. თარიქმა კი ხმამაღლა წაიკითხა:

**– არასასურველის მოთმინების გარეშე, სასურველს ვერ მიიღებთ.**

ბებია ჰათიჯემ ტკბილად დაიწყო ახსნა:

– აჰ პატარებო, ზუსტად თქვენი შესაფერისი ჰადისი ამოვიდა. სათამაშო სახლი ძალიან გინდათ. ამისთვის დაღლილობა მოთმინებით უნდა აიტანოთ.



არავის უყვარს დაღლილობა, მაგრამ სასურველის მისაღწევად მოითმენს.

და-ძმამ ხელები ჩაჰკიდა და სიტყვა მისცეს:

– ჩვენი ფეიღამბრის სურვილისამებრ მომთმენნი ვიქნებით.





ზეინეფი და თარიქი ეზოში რომ გავიდნენ მამა მათ ელოდებოდა.

**მთელი დღე იმუშავეს, მაგრამ დაღლილობაზე საერთოდ არ უწუწუნიათ.**



ერთხელ სახლის ფერზე ისაუბრეს.

ზეინეფმა თქვა:

–ეს სახლი ვარდისფერი იყოს.

თარიქი შეეწინააღმდეგა:

–არა, ცისფერი უნდა იყოს.

ბატონმა მეჰმეთმა თქვა:

**–სახლის ორი მხარე ვარდისფერი, ორიც ცისფერი იყოს.**

შემდეგ დაამატა:

–მაგრამ ყველამ თავისი კუთხე უნდა შეღებოს.





მეორე დღეს საუზმობის შემდეგ ბატონმა მეჰმეთმა თქვა:

–ახლა სათამაშო სახლის შეღებვის დროა.



**–რა მაგარია! როგორც იქნა ჩვენი სათამაშო სახლი დამთავრდება.**

– გაუხარდათ თარიქსა და ზეინეფს.

შეღებვისთვის ძველი ტანსაცმელი ჩაიცვეს. ეზოში გავიდნენ და საქმეს შეუდგნენ. ცოტა მუშაობის შემდეგ და-ძმა დაიღალა. ერთმანეთს მიცემული სიტყვა შეახსენეს, რომ მომთმენი უნდა ყოფილიყვნენ.



ამგვარად მთელი დღე ღებვაში გავიდა.





მეორე დილით და-ძმამ როგორც კი გაიღვიძა, ლოგინიდან წამოხცნენ. სახლში მყოფთ უთხრეს:

–სათამაშო სახლის სალებავი გაშრემოდა. სახლი უკვე სათამაშოდ მზადაა.





ყველას აინტერესებდა სათამაშო სახლი. მთელი ოჯახი ცნობისმოყვარეობით გავიდა ეზოში, მაგრამ დანახულმა გააოცა. ღამით გაწვიმებულიყო და სახლის სალებავი ჩამოეშალა. ზეინეფსა და თარიქს ძალიან ეწყინათ.

მამამ თქვა:

**– არ მოიწყინოთ, გუშინ სახლის შეღებვა ისწავლეთ. დღეს კიდევ უფრო ლამაზად შეღებავთ.**





თარიქმა განაცხადა:

–მე კიდევ ერთხელ აღარ შევღებავ!
ეს საქმე ძალიან მოსაწყენია.

ზეინეფმა თქვა:

–არც მე ვიზამ.

დედამ ჰკითხა:

–ბავშვებო, სათამაშო სახლი ძალიან გინდათ არა?

ზეინეფმა და თარიქმა ერთად უპასუხეს:

–დიახ, თან ძალიან.

–მაშინ არასასურველი რამეები უნდა მოითმინოთ.

და–ძმამ კიდევ ერთხელ გაიხსენა ჰადისი და სახლი კიდევ ერთხელ, ყურადღებით შეღებეს.





ბოლოს ზეინეფისა და თარიქის ნანატრი დღე დადგა. სათამაშო სახლი დამთავრებული იყო და ძალიან ლამაზად გამოიყურებოდა.
დედამ სათამაშო სახლში ერთი ხალიჩა დააგო და ბალიშები დადო. ბუშტებითა და ლენტებით ერთად მორთეს სახლი.
სათამაშო სახლში სათამაშოდ მეგობრებს დაუძახეს. მათ სახლის აშენებისას გადახდენილი თავგადასავლები აუხსნეს. მეგობრებმაც გარჯისთვის ზეინეფსა და თარიქს ტაში დაუკრეს.
ერთად თამაშით დღე მხიარულად გალიეს.







მეგობრებო, რამდენად მომთმენნი ხართ? მოდით ამის შესამოწმებლად, სოკო სახლი გავაკეთოთ, რომელშიც მოთმინებას დავაგროვებთ.

**რა დაგვჭირდება?**

–ცილინდრის ფორმის ყუთი
(პლასტმასი, მუყაო ან მეტალი)
–შავი ფლომასტერი
–თეთრი და წითელი მუყაოს ქაღალდი
–ხელნაკეთი ქაღალდი –წებო –მაკრატელი



ყუთს შემოვახვიოთ თეთრი მუყაოს ქაღალდი.





ხელნაკეთი ქაღალდისგან ფანჯრებისთვის 2 კვადრატი და კარისთვის 1 მართკუთხედი გამოვჭრათ. ფლომასტერით ფანჯრები და კარი გავაფორმოთ. მივაწებოთ ეს ყველაფერი სახლს.

წითელი მუყაოს ქაღალდისგან წრე გამოვჭრათ. წრე ნახევრად გავჭრათ და კუთხეები ერთმანეთს დავაწებოთ. ამგვარად, სახურავისთვის კონუსის ფორმა შევქმნათ.





თეთრი ქაღალდისგან ჭორფლები გამოვჭრათ და დავაწებოთ.
სახურავი სახლს დავადოთ (არ დავაწებოთ).
როდესაც რაღაც არ გვსურს და მოვითმენთ, ქაღალდზე დავწეროთ.
სოკოს სახურავი ავხადოთ და სახლში ჩავდოთ.